თბილისის “დინამოს” პირველი დამარცხება

19 ივნისს მოსკოვში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი თბილისის “დინამო” შეხვდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს მოსკოვის “დინამოს”.

თამაშის დაწყებისთანავე ინიციატივა მოსკოველებმა იგდეს ხელთ და მე–4 წუთზე კარცევმა პირველი ბურთი მოაქცია თბილისელთა ბადეში.

მეორე ტაიმში მოსკოველებმა ანგარიში კიდევ ორი ბურთით გაადიდეს და შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 3:0. ეს თბილისის “დინამოს” პირველი დამარცხებაა.

23 ივნისს მოსკოვში თბილისის “დინამო” ჩაატარებს მორიგ კალენდარულ შეხვედრას ადგილობრივ “ლოკომოტივთან”.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 21 ივნისი 1945 წ.